პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 6 (368) პარასკევი, 12 აგვისტო, 1949 წ. ფასი 30 კაპ.

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

ნახევარ თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. 1 სექტემბერს ინსტიტუტებისა და ტექნიკუმებისაკენ გაემართებიან სახეგაბრწყინებული ჭაბუკები და ქალიშვილები. დიდია მათი სწრაფვა სწავლისაკენ, განათლებისაკენ, კულტურისაკენ. საბჭოთა ახალგაზრდობას ბეჯით სწავლასთან ერთად ფიზიკური კულტურა და სპორტიც იტაცებს. ფიზიკურ კულტურას, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის ერთ-ერთ განუყოფელ და ქმედით საშუალებას, განუზომელ ყურადღებას აქცევენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება და დიდი სტალინი.

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურის 11 ინსტიტუტი და 39 ტექნიკუმია. დაიწყება ახალი სასწავლო წელი და მათ აუდიტორიებში 15.000 მეტი მოსწავლე შემოუსხდება მერხებს.

სპორტი, რომელიც დღითიდღე მასობრივი ხდება საბჭოთა კავშირში, ახალი კადრებით ივსება. ახალგაზრდობა დიდი მონდომებით ეუფლება სპორტის სხვადასხვა სახეს.

ახალი სასწავლო წლისათვის დიდი მოსამზადებელი მუშაობაა გაშლილი საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში და ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმში. ორივე სასწავლო დაწესებულებაში დროულად შეიმუშავეს ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ზუსტად ხორციელდება.

დიდი ყურადღება ეთმობა მიღების საქმეს. ჩატარებული სააგიტაციო მუშაობის შედეგად გასულ წელთან შედარებით გაცილებით იმატა შემოტანილ განცხადებათა რიცხვმა. 10 ადგილისათვის ინსტიტუტში შემოსული იყო 192 განცხადება. საპროპაგანდო მუშაობამ, რომელიც რამდენიმე თვით ადრე დაიწყო, კარგი ნაყოფი გამოიღო. ამ ღონისძიებათაგან აღსანიშნავია ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების საჩვენებელი სპორტული გამოსვლები გორის რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სკოლებში. სპორტული გამოსვლები ჩაატარეს აგრეთვე ფიზკულტურის ტექნიკუმის წარმომადგენლებმა. ყოველივე ამან მეტად შეუწყო ხელი რაიონების ახალგაზრდობის სპორტისადმი ინტერესის გაზრდას, მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: რაიონებისათვის კადრების მომზადების მიზნით ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გეგმა შეიმუშავა, რომლის მიხედვით რაიონებს ინსტიტუტსა და ტექნიკუმში თავისი წარმომადგენლები უნდა გამოეგზავნათ. საქართველოს მთელმა რიგმა რაიონებმა ეს გეგმა ვერ შეასრულეს. მაგალითად, ცუდადაა ამ მხრივ საქმე ქუთაისის, საგარეჯოს, ახალციხის, ახალქალაქის, თელავის, ახმეტისა და სხვა რაიონებში.

სასწავლო დაწესებულებებში ნორმალური მუშაობის გაშლა დიდად არის დამოკიდებული მასწავლებელთა კადრებზე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და სხვ. ეს პირობები გადამწყვეტ როლს თამაშობს სწავლებისა და აღზრდის რთულ პროცესში. როგორც ინსტიტუტში, ისე ტექნიკუმში ამ მხრივ ყურადღება დროულად იქნა გამახვილებული. მთლიანად იქნება შეკეთებული აუდიტორიები, კაბინეტები და ლაბორატორიები, საერთო საცხოვრებლები, სასწავლო ინვენტარი და სხვ. ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის დირექციამ თავისი ბიბლიოთეკისათვის 8.000 მანეთის საჭირო ლიტერატურა შეიძინა.

დიდი მუშაობა ტარდება აგრეთვე საქართველოს მთელ რიგ პედაგოგიურ სასწავლებლებში.

ახალი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. სასწავლო დაწესებულებების კედლებში ისეთი ადამიანები უნდა აღიზარდონ, რომლებიც წარმატებით შეძლებენ თავისი წვლილის შეტანას საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობის განათლებას, მათს ფიზიკურ განვითარებას. ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკუმის, პედსასწავლებლებისა და პედინსტიტუტების მოსწავლეთა პატრიოტული ვალია—პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას მოწდომებული სწავლით უპასუხონ და ყოველდღიურად აიმაღლონ სპორტული ტექნიკა.

მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ყოვლისშემძლე მეცნიერებას — მარქსიზმ-ლენინიზმს, ურომლისოდაც შეუძლებელია წინსვლა, მაღალი მიღწევების მოპოვება, კულტურის შეძენა.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია ამ მეცნიერების გარეშე იმ ბრწყინვალე შენობის აგება, რომელსაც კომუნიზმი ეწოდება. სასწავლო დაწესებულებებიდან ჩვენმა სამშობლომ კომუნიზმის ნამდვილი მშენებლები უნდა მიიღოს. ასეთია ჩვენი გადაუდებელი ამოცანა და მისი შესრულებისათვის უნდა იქნეს მიმართული ყველა ძალები.

საქართველოს ჭაბუკ მოჭიდავეთა ბრწყინვალე წარმატება

როსტოვში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის კლასიკურ ჭიდაობასა და კრივში.

შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ჭაბუკმა მოჭიდავეებმა. მათ მოიპოვეს პირველი ადგილი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება.

თავისი წონით კატეგორიებში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ ჩიტიაშვილი და სიხარულიძე.

კრივში საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა გუნდი მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

ძველთაგან ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებაში ნაციონალურ სპორტს ფართო ადგილი ეჭირა, მაგრამ მან თავისი ნამდვილი განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოიპოვა. ბოლშევიკური პარტიის უმნიშვნელოვანესმა ღონისძიებებმა ფიზიკური კულტურის დარგში დიდად შეუწყო ხელი ნაციონალური სპორტის აღმავლობას.

დღეს ქართული სპორტის სხვადასხვა სახე—ლელო, ჭიდაობა, ცხენოსნობა და სხვ. ჩვენი რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დგას. ნაციონალური სპორტის ერთ-ერთმა საინტერესო სახემ — ჩოგანბურთმა, კვლავ ფართო პოპულარობა მოიპოვა ჩვენს რესპუბლიკაში. რთულ და მიმზიდველ სპორტს გატაცებით ეუფლებიან ზუგდიდის, ცხაკაიას, გუდაუთისა და სხვა რაიონების ცხენოსნები.

სურათზე: ჩოგანბურთის თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო კ. ყირმელაშვილისა.

იპოდრომის მშენებლობა

გასულ წელს ზუგდიდში დაიწყო კომბინირებულ სტადიონ-იპოდრომის მშენებლობა, რომელიც დაიტევს 10.000 მაყურებელს.

სტადიონ-იპოდრომს ექნება ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, საცურაო აუზი, სარბენი ბილიკები და სახტომი ორმოები. აქვე მოეწყობა მოედანი საცხენოსნო სპორტის ყველა სახეში შეჯიბრებების ჩასატარებლად.

სტადიონ-იპოდრომის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ზუგდიდის რაიონის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები.

მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის.

ვ. ჩაჩიბაია

ზუგდიდი.

საგარეჯოლებმა სტადიონი ააგეს

საგარეჯოს რაიონის სპორტის მოყვარული ახალგაზრდობის ინიციატივით რაიონის ცენტრში მოეწყო სტადიონი, რომელსაც აქვს ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საჭიდაო სარბიელი და სხვ.

შ. გზირიშვილი

საგარეჯო.

ფიზკულტურული მოედანი

ბათუმის რაიონის სოფ. ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობამ მოაწყო ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სარბენი ბილიკი, სახტომი ორმო. მზად არის დაბრკოლებათა ზოლიც.

ურეხელთა სპორტულ მოედანზე სისტემატურად ტარდება შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, რბენასა და ჭიდაობაში.

პ. მახვილაძე

ბათუმის რაიონი.

53 მეტრსა და 41 სანტიმეტრზე

5 აგვისტოს, მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ლენინგრადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. სმირნიცკაიამ. მან 53 მეტრსა და 41 სანტიმეტრზე ტყორცნა შუბი, რითაც თითქმის ხუთი მეტრით გადააჭარბა ავსტრიელი მძლეოსანი ქალის ბაუმის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

თავისი შედეგით ნიჭიერმა შუბის მტყორცნელმა ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა საბჭოთა სპორტის ისტორიაში.

ახალი საკავშირო რეკორდები

მინსკელმა მძლეოსანმა ტ. ლუნევმა, რომელიც კონკურსგარეშე მონაწილეობდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის პირველობის გათამაშებაში, ახალი რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე თარჯრბენში. მისი დრო 24,1 წამია.

• • •

დიდ წარმატებას მიაღწია ლენინგრადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, საშუალო წონის ძალოსანმა ი. დუგანოვმა. ამას წინათ მოსკოვში ჩატარებულ შეჯიბრებაში მან ორი ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. ახალგაზრდა სპორტსმენმა აწია 123,5 კგ წონის შტანგა, ხოლო მარჯვენა ხელით — 88,2 კილოგრამი შტანგა აიტაცა.

კოლმეურნე ცხენოსანთა შეჯიბრება

ცხაკაია. მდინარე ტეხურის პირას ვრცელ მინდორზე ჩატარდა შეჯიბრება ცხენოსნობაში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ფოთის, ცხაკაიას და ხობის რაიონების კოლმეურნე ცხენოსნები.

წინაღობათა ზოლის გადალახვაში ყველას აჯობეს ფოთელმა ცხენოსნებმა, ჩეხვაში და ისინდში—ცხაკაიელებმა. ჩოგანბურთში უძლიერესი აღმოჩნდა ფოთის ცხენოსანთა გუნდი.

10 კილომეტრიან მარულაში გაიმარჯვა ცხაკაიელმა პიონერმა, საქართველოს ჩემპიონმა აჩიკო მაისაიამ.

ქულათა რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი ხვდათ ცხაკაიელ ცხენოსნებს, მეორე — ფოთელებს; მესამე ადგილზე ხობის გუნდი დარჩა.

გ. გვაძაბია

ლელო ქობულეთლებმა გაიტანეს

ბათუმის „დინამოს" სტადიონზე შედგა შეხვედრა ქობულეთელ და ჩოხატაურელ ლელობურთელთა შორის.

ჩოხატაურის გუნდის მოთამაშეებმა, რომლებიც ლელობურთის კარგი ოსტატები არიან, შეხვედრა შეტევით დაიწყეს და ანგარიშიც მალე გახსნეს. შემდეგ სტუმრებმა მეორე ბურთი გაიტანეს. მაგრამ ქობულეთლები არ დაბნეულან. მათ თამაშის მაღალი კლასი გამოამჟღავნეს და ჩალე იერიშებზე გადავიდნენ. ქობულეთლებმა არა მარტო გაქვითეს ორი ბურთი, არამედ მათ კიდევ ნ-ჯერ გადაისროლეს ბურთი სტუმრების მოედნის ხაზს იქით.

თამაში დამთავრდა ქობულეთის რაიონის ლელობურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 8 : 3.

პ. სახეჩიძე

ბათუმი.

ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალი

მსოფლიოს პროგრესული ახალგაზრდობა ღირსშესანიშნავ მოვლენის წინაშე დგას. ამ დღეებში უნგრეთის დედაქალაქში იხსნება ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალი, რომელსაც მოჰყვება ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესი.

ეს ორი ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება კიდევ მეტად შეუწყობს ხელს დემოკრატიის ერთიან ძალთა დარაზმვას და შემჭიდროებას. ფესტივალი და კონგრესი—ეს ჭაბუკებისა და გოგონების მრისხანე ხმა იქნება ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მხურვალე მოწოდება მშვიდობისაკენ, კაცთმოყვარეობისაკენ, პროგრესისაკენ.

ამ დღესასწაულისათვის თითქმის ყველა სახელმწიფოში დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაიშალა. მიუხედავად ზოგიერთ სახელმწიფოში რეაქციული მთავრობის მიერ შექმნილი წინააღმდეგობებისა, ფესტივალში დედამიწის თითქმის ყოველი კუთხის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას.

★

სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი

★

ბუდაპეშტის ფესტივალის პროგრამაშია სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ფესტივალის გახსნას დაემთხვევა და 21 აგვისტომდე გასტანს. დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრები ფეხბურთში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში, ტანვარჯიშში, ჭიდაობაში და სხვ.

სტუდენტთა მსოფლიო პირველობა ბუდაპეშტის ერთ-ერთ უდიდეს სტადიონზე „ფერენცვაროშზე" გაიხსნება, შემდეგ კი ჩემპიონატის მონაწილეები სხვადასხვა ადგილზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს: კალათბურთელები და ტანმოვარჯიშეები — სპორტულ პალატაში, მოცურავეები —მარგარიტის კუნძულზე, ნიჩბოსნები — დუნაიზე და სხვ.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ბუდაპეშტისაკენ დაიძრნენ ესტაფეტა „მშვიდობის ქარავნების" მონაწილენი. ისინი უნგრეთის დედაქალაქში თავშეყრილ მოწინავე ჭაბუკებსა და გოგონებს სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდების მისალმებებს გადასცემენ. ესტაფეტა „მშვიდობის ქარავნების" ფინიში „ფერენცვაროშის" სტადიონზე შედგება სპორტული დღესასწაულის გახსნის დღეს.

პროპაგანდისტის დასახმარებლად

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ფიზიკური აღზრდის შესახებ

ჩვენი დიადი ქვეყანა ლენინ-სტალინის პარტიის, ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კომუნიზმისაკენ მიდის. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა მასების კომუნისტურ აღზრდას, ხოლო კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს ფიზიკური კულტურა წარმოადგენს. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ეპოქის ახალი ადამიანის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის ყოველმხრივ განვითარებაზე შეუნელებლად ზრუნავენ პარტია და მთავრობა, პირადად დიდი სტალინი.

მარქსიზმის კლასიკოსები—მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ადამიანის ფიზიკური აღზრდისა და სრულყოფის საკითხს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ადამიანის პიროვნება ყალიბდება ფიზიკური და სულიერი ძალებისა და უნარის უწყვეტი კომპლექსისაგან.

მაგალითად, „სამუშაო ძალის“ განსაზღვრისას მარქსი წერდა: „სამუშაო ძალად ანუ შრომის უნარად ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფიზიკურ და სულიერ თვისებათა მთლიანობას, რომელიც ადამიანის სხეულში, მის ცოცხალ პიროვნებაში არსებობს...“ მარქსის აზრით, ადამიანის იდეალური შრომა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაში, უნდა წარმოადგენდეს ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების ლაღ მოძრაობას.

მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ, რომ აუცილებელია ფიზიკური და ინტელექტუალური საქმიანობის შეხამება, და ეს იმიტომ, რომ კაპიტალიზმის ერთ-ერთი დიდი ბოროტება სწორედ გონებრივი და ფიზიკური შრომის ხელოვნურ გათიშვაში მდგომარეობს, რაც, თავის მხრივ, დამღუპველ გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოებაზე.

მარქსიზმის ფუძემდებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტანვარჯიშს, როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალებას და მოითხოვდნენ, რომ იგი გამხდარიყო ახალი თაობის აღზრდის სისტემის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი.

ფ. ენგელსი სთვლიდა, რომ ფიზიკური აღზრდა დიდად უწყობს ხელს არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი არა მარტო იზიარებდა მარქსისა და ენგელსის აზრებს ფიზიკური აღზრდის შესახებ, არამედ მან შემდგომ განავითარა და დააკონკრეტა ისინი. იგი ამბობდა, რომ მხოლოდ ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანებს შეუძლიათ შექმნან ბედნიერი მომავალი და ააშენონ კომუნიზმი. „ჩვენს მშრომელ ქვეყანაში, — აღნიშნავდა ლენინი, — საჭიროა ფიზიკურად ძლიერი ადამიანების მილიონიანი არმიები, ნებისყოფის, სიმამაცის, ენერგიის, სიმტკიცის მქონე ადამიანები...“

უკვდავ ლენინს უყვარდა ყველა სახის სპორტი: სეირნობდა ნავით, ველოსიპედით, ეჯიბრებოდა ამხანაგებს ნიჩბოსნობაში, შესანიშნავად ცურავდა და თამაშობდა ჭადრაკს, სისტემატურად ატარებდა დილის გამამხნევებელ ვარჯიშს.

ბრესტის ზავის დადების შემდეგ, უკვე 1918 წელს, ლენინმა მითითება მისცა მოემზადებინათ და შემდეგ თვითონ გაუკეთა რედაქცია „ვსეობუჩის“ — საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების კანონის პროექტს, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა ქვეყანაში სამხედრო საქმის სწავლებისა და ფიზიკური აღზრდის პირველ ორგანოს. 1919 წელს „ვსეობუჩის“ სამხედრო-ფიზკულტურულ დღესასწაულზე ლენინი ამბობდა: „დღევანდელი დღესასწაული გვიჩვენებს, თუ რა წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენ, რა ძალა იზრდება მუშათა კლასის წიაღში“.

ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი ყოველდღიურად ზრუნავს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაზე. ჯერ კიდევ 19 წლის წინათ, პარტიის XVI ყრილობაზე, სთქვა მან, რომ ჩვენ ყველა პირობა გვაქვს რათა „აღვზარდოთ ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე მუშათა ახალი თაობა, რომელიც შესძლებს სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვას იგი მტრების თავდასხმისაგან“.

ასეთი ახალი თაობის აღზრდისაკენაა მიმართული პარტიისა და მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ყველა ღონისძიება, რომლებიც ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს შეეხება.

1925 წელს ამხანაგ სტალინის უშუალო მონაწილეობით კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობისათვის ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება, რომელშიც ფიზკულტურა განხილულია არა როგორც ფიზიოლოგიური ფაქტორი, არამედ როგორც მასების კულტურულ-პოლიტიკური აღზრდის მძლავრი საშუალებაც.

1929 წლის 16 ოქტომბერს ამხანაგ სტალინის მონაწილეობით კვლავ იქნა განხილული საკითხი ფიზიკური კულტურის შესახებ. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ფიზიკური კულტურა აღიარებულია „პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ“.

ამხანაგ სტალინის მიერ საუკეთესო ფიზკულტურელთა კრემლში მიღება, მათი ორდენებით დაჯილდოება, ჩემპიონებისა და რეკორდსმენებისათვის მედლების დაწესება, 1948 წლის ივნისში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ხოლო ამავე წლის დეკემბერში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დიდად მნიშვნელოვანი დადგენილებანი ფიზიკური კულტურის შესახებ, კვლავ ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბრძენი ბელადი მშრომელთა მასების, ახალი თაობის ფიზიკურ აღზრდას.

ლ. ხომერიკი.

ფიზკულტურის ძირეული კოლექტივები

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნე ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს სპორტისადმი, იგი ხალისით ებმება ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში. უკანასკნელ ხანებში ფიზკულტურული კოლექტივები შეიქმნა ოლქის 30 კოლმეურნეობაში.

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ახლად შექმნილი ფიზკულტურული კოლექტივებისადმი დახმარების გასაწევად ადგილებზე მიავლინა გამოცდილი სპორტსმენები.

ლ. ბაგლოევა

სტალინირი.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შენობა.
ფოტო ი. ალიხანოვისა.

ჩვენ გვწერენ

როდის მოეწყობა სპორტული მოედანი?

სტუდენტთა ქალაქში თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს. მათი დიდი უმრავლესობა სპორტის მოყვარულია. მაგრამ სტუდენტთა ქალაქში დღემდე არ არის მოწყობილი სპორტული მოედანი, რაც ხელს უშლის ახალგაზრდობის ფიზიკურად გაჯანსაღების საქმეს.

შექმნილია ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ სტუდენტთა ქალაქში მოეწყოს კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები და სხვ. რატომღაც არც სტუდენტთა ქალაქის ადმინისტრაცია და არც თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ყურადღებას არ აქცევენ.

დროა სტუდენტთა ქალაქში მოეწყოს [illegible]ურისი სპორტული მოედანი.

ა. გეწაძე

ერთი სკოლის ფიზკულტურელები

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივი აერთიანებს 143 წევრს, რომლებიც ჩაბმული არიან ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობისა და ჭადრაკის სექციებში.

მიმდინარე წელს შევაკეთეთ ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ჩავატარეთ ათი შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეში.

მიმდინარე წელს მოვამზადეთ მშთ პირველ საფეხურის 37 და მეორე საფეხურის 3 ნიშნოსანი. იმშთ საფეხურზე მომზადებულია 35 ფიზკულტურელი. გადაწყვეტილი გვაქვს 7 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შევასრულოთ ნიშნოსანთა მომზადების გეგმა.

საზაფხულო დასვენების დროს მოვაწყეთ ამხანაგური შეხვედრა მეზობელ სასკოლო და საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებთან სპორტის სხვადასხვა სახეში.

ახალ სასწავლო წელს ჩვენი სკოლის ფიზკულტურის კოლექტივი მომზადებული ხვდება.

გ. გამსახურდია

სოფ. ნაბაკევი, გალის რაიონი.

ქართული ხალხური ფიზიკური ვარჯიშობანი

საუბარი პირველი

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის დადგენილება ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ მიგვითითებს მასობრივი სპორტული მუშაობის გაძლიერებაზე ჩვენს ქვეყანაში. ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეები ჩვენი ხალხის კულტურის შემოქმედებითი ელემენტებია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკური ვარჯიშობებისა და თამაშობათა ადგილობრივ ხალხურ სახეობათა ფართოდ გავრცელებას, როგორც ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მშრომელთა მასობრივი ჩაბმის ერთ-ერთ სავალდებულო პირობას.

ფიზიკურ ვარჯიშობათა ადგილობრივი ხალხური სახეების გამოვლინება და მათი ყოველმხრივი შესწავლა რამდენადმე გაშუქებს ჩვენი ხალხის კულტურის ისტორიის, კერძოდ ფიზიკური კულტურის ისტორიის, საკითხებს. იგი აგრეთვე ხელს შეუწყობს ფიზიკური აღზრდის საბჭოური თეორიისა და მეთოდიკის ცალკეული საკითხების შევსება-დაზუსტებას.

ფიზიკური კულტურის ძირითადი საშუალებანი — ფიზიკური ვარჯიშობანი, მიმართული ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური განვითარებისადმი, განხილული უნდა იქნეს როგორც ყოველი ხალხისათვის სპეციფიკური, ისტორიულად გამომუშავებული ხალხური შემოქმედებითი სახეები.

ყოველი ერი, უმთავრესად თავისი სოციალურ-ეკონომიური პირობების შესაბამისად ისტორიულად იმუშავებდა ფიზიკურ ვარჯიშობათა ადგილობრივ ხალხურ სახეებს, რომლებიც ძველად ამავე დროს სამხედრო-ფიზიკური მომზადების ხალხური სისტემების მნიშვნელოვან საშუალებებს წარმოადგენდნენ. (სწორედ ამიტომ ფიზიკურ ვარჯიშობათა შესწავლა ყოველთვის სამხედრო-ფიზიკური აღზრდის წინასწარი გარჩევის შემდეგ უნდა დავიწყოთ).

ეს საშუალებანი საუკუნეების მანძილზე განიცდიდნენ განვითარებას. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ამა თუ იმ ხალხის კულტურის ზრდასთან. კულტურის სხვა ელემენტებთან ერთად ისინი შეადგენდნენ ერის ინდივიდუალურ სახეს, მის სპეციფიკას, რომლის შესახებაც ამხანაგმა სტალინმა ფინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად 1948 წლის 7 აპრილს გამართულ სადილზე სთქვა: „ყოველ ერს, — სულ ერთია — დიდსა თუ მცირეს, თავისი თვისებრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს“.

ერთი და იგივე ხასიათის ფიზიკური ვარჯიშობანი ისახებოდნენ და ვითარდებოდნენ საზოგადოების კულტურულ-ისტორიული განვითარების ერთნაირ საფეხურზე მდგომ სხვადასხვა ქვეყანაში. ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეული სახეები, საზოგადოების ისტორიული განვითარების შედეგად, თანდათანობით გავრცელდნენ სხვა ქვეყნებშიაც და გადაიქცნენ სპორტის საერთაშორისო სახეებად.

* * *

ქართველები მიეკუთვნებიან კაცობრიობის უძველესი კულტურის მატარებელ ხალხთა ჯგუფს; მათ ყოფაში ფიზიკურ კულტურას ადრიდანვე ეკავა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი.

ფიზიკური კულტურის ძირითადი საშუალებების — ფიზიკური ვარჯიშობებისა და მოძრავ თამაშობათა ქართულ საგანძურში მოიპოვება მრავალი ხალხური სახეობა, რომელთა რიცხვშიც, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ბურთის თამაში — ლელო, ქართული ჭიდაობა მრავალი ვარიანტით და სხვ. ცხენოსნური სპორტის სახეობებიდან აღსანიშნავია მეტად საინტერესო ქართული თამაში ჩოგანბურთი, ისინდი, ყაბახი, თარჩია, ხევსურული დოღი — ცხენი და სხვ. ერთ-ერთ ფრიად საინტერესო სახედ შეიძლება ჩაითვალოს ცივი იარაღის ხმარების ქართული სახე—ხევსურული ფარიკაობა, რომელიც გადმონაშთის სახით დღესაცაა შერჩენილი ხევსურეთში.

საქართველოში ძალიან გავრცელებული იყო ცალკეული ხალხური ფიზიკური ვარჯიშობანი, კერძოდ რბენის, ხტომების და ტყორცნის ადგილობრივი, თავისებური სახეობანი, რომელთა ნაწილიც, საუბედუროთ, ჯერჯერობით შეუსწავლელია, ზოგი კი გამოვლინებულიც არაა.

ჩვენი მიზანია მოკლე საუბრების სახით შევჩერდეთ ზოგიერთ უკვე შესწავლილ ქართულ ხალხურ ფიზიკურ ვარჯიშობებსა და მოძრავ თამაშობებზე.

დოც. ვ. ელაშვილი,

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ალექსანდრა ბიჭის ასული ჯაფარიძე პირველი ალპინისტი ქალია საქართველოში, რომელმაც მიიღო სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ალპინისტ ქალებს შორის იგი პირველი ავიდა კავკასიონის ერთ-ერთ უძნელეს მწვერვალზე — უშბაზე. ალპინისტური მოღვაწეობის 26 წლის მანძილზე მან მოახდინა 100 ასვლა მწვერვალებზე.

უკანასკნელ წლებში ალექსანდრა ჯაფარიძე დიდ მუშაობას ეწევა ალპინისტთა ახალი კადრების აღსაზრდელად. იგი ხელმძღვანელობს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის პედაგოგიურ კაბინეტს. ბევრ მის მოწაფეს უკვე სპორტული თანრიგი აქვს. **სურათზე:** სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრა ჯაფარიძე.

მსაჯის შენიშვნები

ფართო გზა სასტენდო სროლას!

სასტენდო სროლა სანადირო თოფიდან მასობრივ ხასიათს იღებს. თუ 1948 წელს საქართველოში მხოლოდ ორი სტენდი იყო და ისიც მხოლოდ თბილისში, ამჟამად სოხუმელ და მახარაძელ მონადირეებს უკვე აქვთ თავიანთი სტენდები. ახალ სტენდებს აშენებენ ბათუმელი და ქუთაისელი მონადირეები.

სტენდებზე სროლის მსურველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ამას წინათ საქართველოს პირველობაზე გამართული შეჯიბრების დროს. თუ გასულ წელს რესპუბლიკის პირველობაში მხოლოდ 24 მსროლელი მონაწილეობდა, წელს მათ რიცხვმა 60 მიაღწია. შარშან მხოლოდ 5 გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს, წელს კოლექტივთა რიცხვი 12-მდე გაიზარდა; შარშან პირადი შეჯიბრების ფინალში სროლის უფლება ვერც ერთმა რაიონის მსროლელმა ვერ მოიპოვა, წელს შეჯიბრების ფინალში რაიონული მსროლელების 20 პროცენტი გავიდა.

„მონკავშირის“ გუნდმა, რომელმაც წყვილ თეფშებზე სროლაში დაამარცხა ძლიერი მეტოქე „დინამოს“ გუნდი, პირველობა მოიპოვა სროლის ყველა სახეთა კომპლექსში და მიიღო გარდამავალი ჯილდო—ვერცხლის თასი.

ადგილიდან და მისვლით სროლაში გაიმარჯვა „დინამოს“ პირველმა გუნდმა, სროლის ყველა სახეთა კომპლექსში კი მან მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა სამხედრო მონადირეთა კავშირის კოლექტივი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გუნდების შემადგენლობაში 15 მონაწილიდან 11 ოსტატი და 4 პირველთანრიგოსანი მსროლელი იყო.

პირადულ შეჯიბრებაში კარგ შედეგებს მიაღწია დინამოელმა კ. გურგენიძემ. მან 312,50 შესაძლებლიდან 266,50 ქულა მოაგროვა და 1949 წლის სასტენდო სროლის აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდება დაიმსახურა. გურგენიძემ საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა მისვლით სროლაში.

სროლათა ყველა სახის კომპლექსში მეორე ადგილზე სპორტის ოსტატი პ. სარქისოვი („დინამო“) გამოვიდა, ხოლო მესამეზე სპორტის ოსტატი ბ. ოსიპოვი („მონკავშირი“). წყვილ თეფშებზე სროლის ჩემპიონის სახელწოდება მიენიჭა მსროლელს კ. ზვერევს („მონკავშირი“).

აღსანიშნავია აფხაზეთის მსროლელთა წარმატება, ყურადღება მიიპყრო აგრეთვე მახარაძის რაიონის გუნდმა.

შეჯიბრება დამაკმაყოფილებელ დონეზე ჩატარდა, მაგრამ შედეგების მხრივ სასურველი იყო უკეთესი მაჩვენებლების მიღწევა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ვერც ერთმა მსროლელმა ვერ შეასრულა ოსტატის ნორმა. პირველი თანრიგის ნორმები მხოლოდ 4 კაცმა აჩვენა. ასეთ ხარვეზს, რასაკვირველია, ვერ შეავსებს ის გარემოება, რომ შეჯიბრების 32 მონაწილემ შეასრულა 1-ლი, მე-2 და მე-3 თანრიგის ნორმები. ამავე დროს უნდა აღინიშნოს სპორტული ბაზის სივიწროვე და დაბალი ხარისხი. თბილისში ორი სტენდია,—„მონკავშირის“ და სამხედრო მონადირეთა კავშირისა, მაგრამ ისინი ვერ აკმაყოფილებენ სასტენდო შეჯიბრების და, მით უმეტეს, მასობრივი ტურნირების მოთხოვნებს. ორივე სტენდს საკმაოდ ბევრი ნაკლოვანება ახასიათებს; ამ სტენდებზე ნავარჯიშები მსროლელი მაღალ შედეგებს ვერ მიაღწევს.

სექტემბერში მოსკოვში ტარდება საკავშირო პირველობა სასტენდო სროლაში. ამ შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენებმა საპატიო ადგილებისათვის უნდა იბრძოლონ. ჩვენი სპორტული ბაზის უხარისხობა კი საშუალებას არ გვაძლევს, რომ გუნდის საწვრთნელი შეკრება თბილისში ჩავატაროთ. მონადირე მსროლელები იძულებული არიან საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრების გასავლელად მოსკოვს წავიდნენ.

სასტენდო სპორტის მასობრიობისათვის საჭიროა ყველა სპორტულ საზოგადოებაში გავავითაროთ ეს საინტერესო სახე. დღემდე კი მას სპორტსაზოგადოებათა უმრავლესობა ალმაცერად უყურებს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პირველობაზე „დინამოს“ გარდა არც ერთ სპორტულ საზოგადოებას არ მიუღია მონაწილეობა.

სასტენდო სროლის უგულებელყოფას ბოლო უნდა მოეღოს. საზოგადოებებმა უნდა იზრუნონ სამონადირეო საქმისა და განსაკუთრებით სასტენდო სროლის დანერგვისათვის თავიანთ წევრებს შორის. ცნობილია, რომ ნადირობა და მისი შემადგენელი ნაწილი — სასტენდო სროლა, არამარტო გასართობია, არამედ უდიდესი სახალხო-სამეურნეო და თავდაცვითი მნიშვნელობის საქმე.

ვ. ბურჯანაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

მეორე ჯგუფის კალათბურთელთა შეხვედრები

გაიმარჯვეს ქუთაისელებმა და ჭიათურელებმა

საქართველოს 1949 წლის პირველობის გათამაშებაში მეორე ჯგუფის კალათბურთელთა შორის, რომელიც ჭიათურაში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღეს ჭიათურის, სიღნაღის, გორისა და ზესტაფონის გუნდებმა.

შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია ჭიათურის „მეტალურგის“ გუნდმა, რომელმაც დაამარცხა შეჯიბრებაში მონაწილე ყველა გუნდი და პირველი ადგილი მოიპოვა. ამ წარმატებით ჭიათურელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს პირველი ჯგუფის გუნდებთან შეჯიბრების უფლება.

შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავეს სიღნაღის კალათბურთელებმა, რომლებიც კოლექტიური თამაშით გამოირჩეოდნენ.

გაკვირვებას იწვევს პირველობის გათამაშებაში თელავის, ხაშურის, ახალქალაქისა და სტალინირის გუნდების გამოუცხადებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების უმრავლესობას არ ჰყავს მწვრთნელი, რაც უარყოფითად მოქმედობს მათი თამაშის ტექნიკასა და ტაქტიკაზე.

ლ. ნანეიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

ქუთაისი. (ჩვენი კორ.). ამას წინათ ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრება კალათბურთში (მეორე ჯგუფი), რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის „ქიმიკის“, „ტორპედოს“ და „პიშჩევიკის“ კოლექტივები, სოხუმის, ფოთის, სამტრედიის, წულუკიძისა და ზუგდიდის ნაკრები გუნდები.

ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის „ქიმიკის“ გუნდმა.

გადასამზადებელი კურსები

საშუალო და რვაწლიანი სკოლების ფიზკულტურული საგნების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აფხაზეთის განათლების სამინისტრომ ჩაატარა ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები.

ფეხბურთის მოედნებზე





7 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ცდკასა და ადგილობრივი „დინამოს“ გუნდები. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 6 : 1 სტუმრების სასარგებლოდ. **სურათებზე:** (ზევით) სახიფათო მომენტი დინამოელთა საჯარიმო მოედანზე. მეკარე მარღანია იღებს ბურთს ბობროვისაგან. (ქვევით): დინამოელ ზაზროშვილს გააქვს ბურთი ცდკას კარში. მსაჯმა ე. საარმა (ტალინი) თბილისელებს ეს ბურთი რატომღაც არ ჩაუთვალა.

★ ★ ★

6:1

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ადგილობრივი დინამოელები შეხვდნენ თავიანთ მინსკელ თანაკლუბელებს.

თამაში თბილისელთა აშკარა უპირატესობით ჩატარდა. პირველი ნახევარი დამთავრდა 3 : 1 დინამოელთა სასარგებლოდ. მეორე ნახევარში მასპინძლებმა კიდევ 3 ბურთი გაიტანეს მინსკის დინამოელთა კარში და მოიგეს მატჩი ანგარიშით 6 :1. მოწინააღმდეგეთა კარში ბურთები შეაგდეს ღოღობერიძემ (სამი), თოდრიამ, პანიუკოვმა და მახარაძემ.

★ ★ ★

11 მატჩი

გასული ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე ჩატარდა 11 კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში.

სტალინოს „შახტიორმა“ წააგო შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან“ ანგარიშით 1 : 10. სტალინოელი ფეხბურთელები დამარცხდნენ აგრეთვე ლენინგრადის „ზენიტთან“ (1:2).

მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრა ხარკოვის „ლოკომოტივთან“ დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით (3:0). ვვს-მა მოუგო კიევის „დინამოს“ — 4:0. ბაქოს „ნეფტიანიკმა“ წააგო მოსკოვის „სპარტაკთან“ (1:4). ერევნის დინამოელებმა დაამარცხეს მოსკოვის „ლოკომოტივი“ (3:1). ამავე ანგარიშით მოიგეს მატჩი სტალინგრადის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა „კრილია სოვეტოვთან“.

რიგის „დაუგავას“ და ლენინგრადის „დინამოს“ შეხვედრა ფრედ (1:1) დამთავრდა.

გუშინ მოსკოვის „დინამომ“ კიევში ადგილობრივ „დინამოს“ მოუგო ანგარიშით 6 : 2. მოსკოვის „სპარტაკისა“ და ერევნის „დინამოს“ შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით—2 : 1. მოსკოვის „ტორპედომ“ დაამარცხა რიგის „დაუგავა“ ანგარიშით 1 : 0.

ამაღლდა თამაშის კლასი

★

საქართველოს პირველობაზე

★

მიმდინარე წლის რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 20 გუნდმა. ჩატარებულმა შეჯიბრებამ ნათელჰყო საქართველოში ფეხბურთის ტექნიკისა და ტაქტიკის უდაო ზრდა. გუნდების უმრავლესობამ (ქუთაისის „ტორპედო“, ხაშურის ნაკრები, ბათუმის, ფოთის, თელავის „დინამო“ და სხვ.) კარგი ფიზიკური მომზადება გვიჩვენა.

ფინალში ისეთი გუნდები გავიდნენ, რომლებიც გასულ წელს მეორე ჯგუფში თამაშობდნენ — ქუთაისის „ტორპედო“ და ხაშურის ნაკრები.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ტურნირებში არაერთგზის გამარჯვებულ სოხუმისა და ბათუმის დინამოელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს შარშანდელ სეზონში მეორე ჯგუფში მონაწილე კოლექტივებმა. უკანასკნელნი ხშირად დამსახურებულად იმარჯვებდნენ კიდეც. მაგალითად, რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონმა სოხუმის „დინამომ“ ვერ გაუძლო თელავის, მახარაძის, ქუთაისისა და ზოგიერთი სხვა გუნდის ფეხბურთელთა ენერგიულ შეტევას და მოედნიდან დამარცხებული წავიდა.

ქვეჯგუფებში გამარჯვებული ქუთაისის „ტორპედო“ და ხაშურის ნაკრები 7 აგვისტოს შეხვდნენ ერთმანეთს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე. ფინალური მატჩი მეტად დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა. ლამაზი კომბინაციის გათამაშების შედეგად პირველი ბურთი ხაშურელებმა გაიტანეს. შემდგომში ისინი მეტად სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ ქუთაისელ ფეხბურთელთა საჯარიმო მოედანთან, მაგრამ გადამწყვეტ წუთებში ჩქარობდნენ და ხელსაყრელ მდგომარეობას ვერ იყენებდნენ.

„ტორპედო“ მიღებულ ბურთმა არ დააბნია. ქუთაისელებმა ენერგიული შეტევა განავითარეს და გამარჯვებას მიაღწიეს. გუნდი ტაქტიკურად გააზრებული თამაშით და მაღალი ტექნიკური მონაცემებით გამოირჩევა.

საფინალო შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2 : 1 ქუთაისის „ტორპედოს“ სასარგებლოდ. მრავალრიცხოვანი მაყურებელი ორივე გუნდის ოსტატური თამაშის მოწმე იყო.

• • •

საქართველოს პირველობაში მონაწილე გუნდების მომზადებას დიდად შეუწყო ხელი რაიონებში კვალიფიცირებული მწვრთნელების გაგზავნამ და მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩატარებულმა რესპუბლიკურმა ტურნირმა სეზონის გახსნის ჯილდოზე.

საანგარიშო ჩემპიონატში კარგ შედეგებს მიაღწიეს ფოთის „დინამომ“ და გორის, მახარაძისა და ბორჯომის წარმომადგენლებმა. მათ შესამჩნევად აიმაღლეს თამაშის კლასი და თავისი მარაგი ახალი ტაქტიკურ-ტექნიკური ხერხებით გაიმდიდრეს.

დიდი მუშაობა ჩაატარეს ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელმა ამხ. ს. ერქომაიშვილმა და ხაშურის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ამხ. გ. ჯომარდიძემ.

განცვიფრებას იწვევს 1948 წლის საქართველოს ჩემპიონის სოხუმის „დინამოს“ სუსტი თამაში. აფხაზეთის დედაქალაქის ფეხბურთელებმა 1949 წლის გათამაშებაში მხოლოდ მეთოთხმეტე ადგილზე გასვლა მოახერხეს. ეს იმის შედეგია, რომ გუნდში სისტემატურად არ ტარდებოდა სასწავლო-საწვრთნელი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. კოლექტივში დისციპლინა ძლიერ დაბალ დონეზეა. ასევე სუსტად ჩაატარეს ჩემპიონატი ზესტაფონის „მეტალურგმა“, ფოთის „ვოდნიკმა“, სამტრედიისა და ოჩამჩირის „დინამომ“ და სხვ.

ზემოჩამოთვლილ გუნდებს თამაშის კლასის ამაღლების ყველა პირობა აქვთ. ამისათვის საჭიროა გაძლიერდეს საწვრთნელი მუშაობა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მატჩების შორის დარჩენილი დროის რაციონალურად გამოყენებას.

ქვეჯგუფებში გათამაშების დამთავრების შემდეგ გუნდები მოპოვებული ადგილების მიხედვით შეხვდნენ ერთმანეთს. ჩემპიონატის ცხრილში ადგილების საბოლოო განაწილება შემდეგია: 1. ქუთაისის „ტორპედო“, 2. ხაშურის ნაკრები, 3. ბათუმის „დინამო“, 4. ფოთის „დინამო“, 5. გორის „პიშჩევიკი“, 6. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მუშა ახალგაზრდობის გუნდი, 7. მახარაძის ნაკრები, 8. ბორჯომის „სპარტაკი“, 9. სტალინირის „დინამო“, 10. თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდი, 11. თელავის „დინამო“, 12. გუდაუთის „დინამო“, 13. თბილისის „ტრუდი“, 14. სოხუმის „დინამო“, 15. ახალქალაქის ნაკრები, 16. ოჩამჩირის „დინამო“, 17. სამტრედიის „დინამო“, 18. ფოთის „ვოდნიკი“, 19. ზესტაფონის „მეტალურგი“, 20. რუსთავის „მეტალურგი“.

21 აგვისტოს იწყება საქართველოს თასის გათამაშება. დარჩენილი მოკლე დრო გუნდებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ და მომზადებულად შეხვდნენ მომავალ შეჯიბრებას.

დ. ცომაია,
საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში.

ველოკროსი საინტერესო და ძალზე რთული შეჯიბრებაა. მასში მონაწილე სპორტსმენს მეტად დასერილი ადგილების გადალახვა უწევს ყოველთვის. აღმართი, მდინარე, დაკლაკნილი ბილიკი, ხევი, გადახნული ყამირი—ასეთ ადგილებში გადის ველოკროსის ტრასა. ველოსიპედისტს დიდი უნარიანობის, ფიზიკური გამძლეობის, სისწრაფის, მოხერხებულობის მოშველება სჭირდება გამარჯვების მისაღწევად. **სურათზე:** ამას წინათ ჩატარებულ თბილისის ველოკროსის მონაწილენი ტრასაზე.

ფოტო კ. კრიმსკისა.

საცურაო ბილიკებზე

თბილისელთა მიღწევები

სისტემატური საწვრთნელი მუშაობის შედეგად, რასაც მწვრთნელები ლ. ოიაკიმიდი, ა. გეგელია, შ. მუსასტიკოვი და სხვანი აწარმოებენ, თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს მიმდინარე წელს რესპუბლიკის მოცურავეებმა და პირველ რიგში ჭაბუკმა სპორტსმენებმა.

ივნისის, ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა მოცურავეებმა დაამყარეს 40-ზე მეტი რეკორდი, რომელთაგან ბევრი მოზრდილთა მიღწევებს აღემატება.

ამას წინათ ჭაბუკმა მოცურავეებმა ნ. გვახარიამ, ვ. ჩურჩენკომ, ვ. ლავრინენკომ და ი. აბოვიანმა ამანათცურვაში 4×50 სარეკორდო დრო 2:07,1 უჩვენეს. მათვე 4×200 გასცურეს 10 წუთსა და 54,8 წამში.

გოგონებში ტიხანოვსკაიამ, ვარლამოვამ, პარხომენკომ და ფაჩულიამ ამანათცურვაში 4×50 დაამყარეს საქართველოს რეკორდი—2 წუთი და 43,5 წამი, ხოლო კომბინირებულ ამანათცურვაში 4×100 უჩვენეს 6:40,5.

ჭაბუკებმა კ. ბიკოვჩენკომ, ვ. დოლიძემ, კ. ლაპურიდიმ და გ. გაპელიამ სარეკორდო დროში დაამთავრეს ბრასის სტილით ამანათცურვა 4×200. ფაჩულიამ, ვარლამოვამ და მიშულინამ კომბინირებულ ამანათცურვაში 3×100 მიაღწიეს აგრეთვე რესპუბლიკის აბსოლუტურ რეკორდს — 4:58,4.

50 მეტრზე ზურგით ცურვაში ნ. გვახარიამ სარეკორდო დრო 37,6 წამი უჩვენა.

ა. ალექსიძე

აფხაზეთის ჩემპიონები

სოხუმი. (ჩვენი საკ. კორ.) ერთ კვირას გრძელდებოდა აფხაზეთის პირველობის გათამაშება ცურვაში, რომელშიც წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირისა და გულრიპშის ნაკრებმა გუნდებმა.

თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონის წოდება მოიპოვეს სოხუმელმა ვ. ჭედიამ ვაჟთა შორის და გაგრის წარმომადგენელმა გ. ოსიპენკომ ქალთა შორის.

გაგრის წარმომადგენელმა ვ. მარჩენკომ გვერდულ ცურვაში 300 მეტრზე საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა (4:29,8).

კოშკიდან და ტრამპლინიდან ხტომაში აფხაზეთის ჩემპიონის წოდება მიენიჭა დინამოელ ი. სტაროდუბცევს (სოხუმი).

პ. ლეთოდიანი

აჭარის უძლიერესი მძლეოსნები

მძლეოსნობაში აჭარის ასსრ 1949 წლის პირველობის გათამაშებაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონების და ქ. ბათუმის მძლეოსანთა ნაკრებმა გუნდებმა. 100-ზე მეტმა მძლეოსანმა მიიღო მონაწილეობა რბენაში, ბადროს ტყორცნაში, ბირთვის კვრაში, შუბის ტყორცნაში და სხვ.

100 მეტრზე რბენაში ვაჟებს შორის პირველი იყო ბათუმელი კ. გიორგაძე. ქალებს შორის ფინიშთან პირველი მივიდა ნესტეროვა, მანვე მოიპოვა პირველობა 200 მეტრზე რბენაში. 800 მეტრზე რბენაში მამაკაცთა შორის გაიმარჯვა სამუშიამ. მანვე 500 მეტრი დაფარა 16 წუთსა და 35 წამში და პირველი ადგილი მოიპოვა. 10 კილომეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ხულოელმა თაფლაძემ, რომელმაც მანძილი 43 წუთსა და 36,6 წამში გაირბინა.

შეჯიბრებაში დამყარებული იქნა აჭარის ასსრ სამი რეკორდი. 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში რეკორდი დაამყარა ი. ბელმესოვმა (ბათუმი), რომელმაც მანძილი 1 საათსა და 41,1 წამში გაიარა. ბირთვის კვრაში რეკორდი დაამყარა ბათუმელმა შაფაქიძემ, ხოლო ბადროს ტყორცნაში—ი. მეგანძიშვილმა (ბათუმი).

სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ქობულეთელმა ნ. ჩერქეზიშვილმა (165 სმ), ქალთა შორის—ბათუმელმა ი. მეგრელიშვილმა (130 სმ).

ორი დღის ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ქ. ბათუმის მძლეოსნებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ბათუმის რაიონის გუნდი, მესამეზე—ქედის რაიონის წარმომადგენლები.

გამარჯვებული გუნდები და პირველ ადგილებზე გამოსული ცალკეული მძლეოსნები დაჯილდოებული არიან აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის სიგელებით.

ს. პარკაძე
ბათუმი.

დაარსდა სპორტული საზოგადოება

ქუთაისი. რაიონში შეიქმნა სპორტული საზოგადოება „ბოლშევიკი". არჩეულია საზოგადოების ორგბიურო. „ბოლშევიკი" ჯერჯერობით 150-მდე წევრს აერთიანებს. მოკლე დროში საზოგადოებასთან მუშაობას დაიწყებენ სპორტის სხვადასხვა სექციები.

უცხოეთში

უნგრელ მოჭადრაკეთა გამარჯვება

ბუდაპეშტში შედგა საჭადრაკო მატჩი უნგრეთისა და ჰოლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა უნგრელ მოჭადრაკეთა ბრწყინვალე გამარჯვებით, ანგარიშით 19:10. პირველ დაფაზე მოთამაშე ლ. საბოსა (უნგრეთი) და მ. ეივეს (ჰოლანდია) ბრძოლებში საბომ გაიმარჯვა — 1½:½.

უნგრეთის პრესა აღნიშნავს, რომ მათ მოთამაშეების წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მოსკოველ მოჭადრაკეებთან უნგრელების შეხვედრამ.

სტადიონებზე

⊙ დამთავრდა საფრანგეთის 1949 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ჩემპიონის წოდება მოიპოვა „რეიმსის" გუნდმა, რომელმაც 48 ქულა მოაგროვა.

⊙ ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ჩემპიონატში დამთავრდა პირველი წრე. პირველ ადგილზე კვლავ „ბრატისლავა" მიდის, რომელსაც 26 შესაძლებლიდან 21 ქულა აქვს. მას ხუთი ქულით ჩამორჩებიან მეორე-მესამე ადგილზე მყოფი გუნდები „ტეპლიცე" და „სპარტა".

⊙ პოლონეთის ფეხბურთის პირველობის გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა „ვისლა". ლიდერმა ამას წინათ დამარცხება განიცადა (0:1) ერთერთ უძლიერეს კოლექტივ „კრაკოვიასაგან". „კრაკოვია" ჯერჯერობით მესამე ადგილზეა.

⊙ რუმინეთის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში მოიპოვა მუშათა გუნდმა იკომ, რომელმაც 52 შესაძლებლიდან 37 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ბუქარესტელ რკინიგზელთა კოლექტივი „ჩეფეერბე" (32 ქულა).

ქრონიკა

შვეციის კლუბის „უეფლე ი. ფ." (ქალ. გევლი) მორბენლებმა გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდი ამანათრბენში 4×1.500 მ. რომელიც მათვე ეკუთვნოდათ. გუნდის წევრებმა ბენგტსონმა, ბერგკვისტმა, ობერმა და ერიკსონმა მანძილი 15 წუთსა და 30,2 წამში დაფარეს, ძველი რეკორდია 15:34,6.

* * *

ბელგიის ჩემპიონმა რეიფმა (ლონდონის ოლიმპიადაში 5.000 მეტრზე რბენაში გამარჯვებული) ამას წინათ 3.000 მეტრი 8 წუთსა და 5,0 წამში გაირბინა.

* * *

მსოფლიოს უძლიერესმა სტაიერმა (სტაიერი გრძელ დისტანციებზე მორბენალს ეწოდება) მ. ხიეტანენმა (ფინეთი) პირველი ადგილი მოიპოვა თავისი ქვეყნის მარათონელთა შეჯიბრში. მისი დრო 2 საათი, 35 წუთი და 44,2 წამია.

ფრენბურთელთა ტურნირი

სტალინირი. აქ ჩატარდა შეჯიბრება ფრენბურთში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქ სტალინირის, ჯავის, ზნაურის, ლენინგორისა და სტალინირის რაიონების ნაკრები გუნდები, აგრეთვე „დინამოს", „სპარტაკის" და „ბოლშევიკის" ფრენბურთელები.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს ქალაქ სტალინირის ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა გუნდებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჯავის რაიონის ფრენბურთელთა გუნდი.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ ფიზკულტურის და სპორტის საოლქო კომიტეტის სიგელები.

შეხვედრა სპორტის დამსახურებულ ოსტატთან

ამ დღეებში ქ. გურჯაანის ფიზკულტურელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატ ტანმოვარჯიშე რაისა ზაალიშვილს.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ზაალიშვილმა შეკრებილთ გაუზიარა თავისი გამოცდილება.

დასასრულ სტუმრის პატივსაცემად გაიმართა კონცერტი.

სპორტის ისტორიიდან

დავითა ხიზამბარელი

ქართულ ჭიდაობას ბრწყინვალე ისტორიული წარსული აქვს. ჩვენი გამოჩენილი ფალავნების სახელს საქართველოს გარეთაც კარგად იცნობდნენ. არა ერთი და ორი მსოფლიო მნიშვნელობის მოჭიდავე სასტიკად დაუმარცხებიათ ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილ ფალავნებს: ხიზამბარელსა და კოპიტაშვილს, კალატოზიშვილსა და რენელს, ეგნატაშვილსა და ღოღაძეს, ატამაშვილსა და თიანელს, ესებუასა და გლდანელს, ქიზიყელსა და ცერაძეს, მასურაძესა და ქურხულს, მთიულსა და კავსაძეს, კანდელაკსა და ვერელს, ბუზარიაშვილსა და როსტიაშვილს, ლომისყანელსა და ცხინვალელს, სვანელსა და ნახალოვკელს და კიდევ სხვებს, რომლებითაც შეუძლია იამაყოს ქართული სპორტის ისტორიამ.

ქართული ჭიდაობის სიდიადეზე შემდეგი მხურვალე სიტყვებით ლაპარაკობს პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე: „საქართველოს სუფთა ზეცა, თითქოს მტრედის ლურჯი მხარი, მწვანე მოლზე ჭიდაობის რა იქნება შესადარი?". მეორე ადგილას იგივე პოეტი დაუმარცხებელი ქართველი ფალავნის, განთქმულ დავითა ხიზამბარელის შესახებ ასე ამბობს:

„მწარედ მოსთქვამდა ნიკალა, რომ არ გაჩნდა მფარველი, გადმოდიოდა გრიგალად მხარგრძელი ხიზამბარელი".

ხელობით მეტივე დავითა ხიზამბარელის საჭიდაო ასპარეზზე გაფთრებულ ლომივით გამოვარდნა რაღაც არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამის შესახებ უამრავი ცნობები მოიპოვება ქართული ჭიდაობის ისტორიას.

ქართულ ჭიდაობას ყოველთვის უთვალავი ხალხი აწყდებოდა. უჩვეულო ინტერესს იჩენდა ჩვენი საზოგადოება ამ ნაციონალურ სპორტისადმი. „ყოველ კვირა დღეობით — წერს 1883 წლის № 75 გაზეთი „დროება", — აურაცხელი ხალხი მოაწყდება ხოლმე მუშტაიდს „კონკით" და ფაეტონებით, და გუშინ ხომ მთელი ქალაქი დაიძრა, რადგან გლდანელისა და ღოღაძის ჭიდაობა იყო დანიშნული. ისეთი მოძრაობა იყო ხალხისა, ცხენების, ფაეტონების და „კონკების", რომ ძალიან სიფრთხილით უნდა ყოფილიყვნენ ყველანი".

სწორედ ამ ცნობის გამოქვეყნების ერთი წლის წინათ იგივე გაზეთი ერთ-ერთი ჭიდაობის შესახებ წერდა:

„ხუთიათასზე მეტი ხალხი მხედველობად გადაქცეული სულგანაბული შესცქეროდა ამ სურათს", ე. ი. კულა გლდანელისა და ღოღაძის პირველ შეტაკებას. მართალია, ამ ჭიდაობის დროს გლდანელს ხვდა გამარჯვება, მაგრამ ამაზე სხვა დროს, რადგან ჩვენ ამ წერილში მხოლოდ ხიზამბარელის შესახებ გვექნება ლაპარაკი.

შეუდარებელი ქართველი ფალავნის ხიზამბარელის დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ გაზეთ „დროების" 1882 წლის 123 ნომერში დაბეჭდილი შემდეგი სტრიქონები: „ამბობენ, გლდანელის ტოლი მოჭიდავე ახლა აღარ მოიპოვება. ხიზამბარელობას დაიმკვიდრებსო".

ჩანს, ხიზამბარელობა დიდი საქმე ყოფილა. გამოჩენილი მოჭიდავის დავითა ხიზამბარელის სახელი საზოგადოებას ერთგვარ საზომადაც კი გაუხდია.

ერთ-ერთი ძველი მოჭიდავე გაზეთ „ივერიის" 1888 წლის 169-ე ნომერში ასე წერდა:

„საქართველოში ბევრი გამოჩენილი მოჭიდავე ყოფილა, მაგრამ ხიზამბარელსავით კი სახელი არავის გაუთქვამს. ხელობით მეტივე იყო, ჯმუხი, მოკლე ხელ-მკლავებიანი, ცოტათი მოხრილი და დათვურად ნაკვთი. ტანზე, სადაც უნდა მოგევლო ხელი, იტყოდი თუ ხე არისო, ანუ ქვა და არა ხორციო. გამოდიოდა სათემოდ. დადიოდა დღეობებზე და ვინც გამოითხოვდა, მზად იყო შებმოდა. თან ახლდა ხოლმე ერთი ან ორი ამხანაგი მეტივეთაგანი, რომ ვინიცობაა მარცხი რამ მოსვლოდა ჭიდაობაში, ამათ ეპატრონებინათ და სხვა ქომაგი და დამხმარე არავინ ჰყავდა და არც ეძებდა.

ჭიდაობაში ფულს არ იღებდა. „დღეობაში ხალხი რითაც შეგიძლიათ, უნდა შეაქციო და თვალის სეირი უჩვენო", — იტყოდა ხოლმე. მაგრამ დიდკაცების საჩუქარს არა სწუნობდა. ძალიან სათნო კაცი იყო და სულგრძელი მოჭიდავე. სანამ ერთ ხელადა ღვინოს არ გადაჰკრავდა, ისე საჭიდაოდ არ გავიდოდა. სახელგანთქმულსა და თავგასულ მოჭიდავეს არა ზოგავდა. ზეზე კისრული იცოდა და რაღაც კი წამოაკიდებდა, იტყოდა ხოლმე: ახლა თუ გინდათ ხარ-კამეჩებიც მოუბათ, ვეღარ შემაგრებთ, გადავიტანო. და მართლაც, ბევრჯერ დაბლაუჭებიან ზურგზე წამოკიდებულ მოჭიდავეს ქომაგები, რომ შეემაგრებიათ და ვეღარ გადაეტანა ხიზამბარელს, მაგრამ ამაოდ, ვერა გაუწყვიათ რა. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ქომაგიც კისრულზე გადადიოდა ერთად მის ფალავანთან. ახალგაზრდა მოჭიდავეს, თუ შეატყობდა ხეირს, განგებ დიდხანს ათამაშებდა ხოლმე, თითქოს უნდა გაათამამოს და ასწავლოს ხერხებიო.

არკადი ხუნდაძე

(დასასრული იქნება)

თავისუფალ დროს

კონტუროგრამა

შეადგინა ა. ხასკინია
(მოსკოვი)



მხატვარი ფანქარს უსვამდა ქაღალდს, სურდა რაიმე სურათი დაეხატა. ჯერ დახატა ერთი საგანი, შემდეგ მეორე, მესამე... და ამრიგად გამოვიდა რაღაც უცნაური ნახატი.

— რა დახატე? — შეეკითხა ამხანაგი.

მხატვარი დააშტერდა ხაზებს და შეცბუნებულმა უპასუხა:

— დამავიწყდა.

მაშინ ამხანაგი დაეხმარა მხატვარს და ამ უცნაურ ნახატში მათ 23 საგანი აღმოაჩინეს.

აბა, ვინ გამოიცნობს, რა საგნებია ჩახატული ამ კონტუროგრამაში?

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის პარასკეობით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4.
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტირაჟი 15.000.
უე 05304